



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92220606

თარიღი:01/03/2022

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, თანხის გამოყოფის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 67-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2021 წლის 21 დეკემბრის №23 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გამოიყოს თანხა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარული ნივთების შესაძენად - 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურს“ და "ეკონომიკის სამსახურს".

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

